განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2020 წლის 31 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2020 წლის 22 მაისი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის მაგისტრი, 0222
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბონდო კუპატაძე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 102 კრედიტი – სპეციალობის სასწავლო კურსები, აქედან 78 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები და 24 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები.კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით შეადგენს 18 კრედიტს.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია –ისტორიის მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შესაფასებლად შედგა 2020 წლის 31მარტს. მან წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, აგრეთვე სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებს სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე ონლაინ დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ონლაინ ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაშესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - **გამდიდრებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით შემდეგი საგნები: ახალი საქართველო (1985-2012)“, „საბჭოთა საქართველოს ისტორია“, „კავკასია XIX-XXI: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921);**

- შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამაში მითითებული საგნების სათაურები – „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე 1789-1914 წლების გლობალური ისტორია“, „რუსეთის ისტორია პეტრე დიდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921)“, „ახალი საქართველო (1985-2012)“ – სილაბუსებში მოცემულ დასახელებებთან („ევროპა და მსოფლიო ხანგრძლივი მე-19 საუკუნის პერიოდში, 1789-1914“, „იმპერიული რუსეთი“, „ქართული სოციალ-დემოკრატია ოპოზიციასა და ხელისუფლებაში“, „ერისა და სახელმწიფოს მშენებლობა ახალ საქართველოში (1985-2012)“);
- საგნებში „1914-2000 წლების გლობალური ისტორია“ და „საბჭოთა საქართველოს ისტორია“ კვირეულად დასამუშავებელი ლიტერატურა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობასთან.
- შესწორდეს ბიუჯეტი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და მოერგოს ის კონკრეტულად თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას.
- პროგრამის გარე შეფასება აღნიშნულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს საქართველოს ისტორიის სპეციალისტმა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - *სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა კიდევ ერთხელ განიხილოს ინგლისურენოვანი სავალდებულო საგნების რაოდენობის საკითხი.*
  - *სამომავლოდ პროგრამის მიზნების უკეთ რეალიზაციისთვის, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ილიაუნის შიდა რესურსის მეტად გამოყენება და საქართველოს უახლესი ისტორიის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა (ლაშა ბაქრაძე, დავით მალაზონია, გოგი გვახარია და ა.შ.) ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გამდიდრება სსოციალური და კულტურის ისტორიის მიმართულების არჩევითი საგნებით.*

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

  - ✓ პროგრამის მნიშვნელოვან პლიუსად და სხვა პროგრამებისთვის მისაბაძ გამოცდილებად მიგვაჩნია პროგრამის განსახორციელებლად საერთაშორისო ცნობადობის მქონე სპეციალისტთა – უახლესი ისტორიის, სოვეტოლოგების (რონალდ სუნი, სტივენ ჯონსი, ალექსანდრე მიქაბერიძე) უცხოეთიდან მოწვევა და როგორც უშუალოდ, ასევე დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით მონაწილეობა პროგრამაში. ეს განსაკუთრებით დადებითად აისახება მომავალი მაგისტრანტების პროფესიულ ზრდაზე, გააფართოვებს მათ სამეცნიერო თვალსაწიერს.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. მათში ასახულია, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა თუ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიასთან. პროგრამა მიმართულია თანამედროვე საქართველოს ისტორიის დარგში მკვლევართა ახალი თაობის მომზადებაზე, რომელიც შეძლებს როგორც საერთაშორისო ისტორიოგრაფიის მიღწევების შესწავლას, ისე საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მიმართულებით კვლევების წარმოებას. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს, დასაქმდეს კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებში ან განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე – დოქტორანტურაში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულიაკვლევების ინტერნაციონალიზაციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission; o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს, რომ თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია საქართველოს XIX-XXსაუკუნეების ისტორიის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე არსებული დასავლური ისტორიოგრაფიის სიღრმისეული ცოდნა. პროგრამის სწავლის შედეგები

შედგენილია ცალკეული კურსების სწავლის შედეგების მიხედვით და მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. დაწესებულება ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. მასში მოქმედებს პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის სწავლის შედეგების ნიშნულების განსაზღვრას (თვითშეფასების ანგარიშში გაპარულია ტექნიკური შეცდომა და აღნიშნულია, რომ ეს „მექანიზმი ამოქმედდება 2018 წლიდან პილოტირების რეჟიმში“, თუმცა, როგორც ინტერვიუდან გაირკვა, ის უკვე მოქმედებს). სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პირდაპირი წესით (სტუდენტების ნამუშევართა ანალიზი), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები და ა.შ.) შეფასების მეთოდებით. პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა პოტენციურ დამსაქმებელთასურვილი, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონოდათ არქივში მასალაზე მუშაობის და მოპოვებული მასალის კვლევაში გამოყენების უნარი, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი საგანი „საარქივო კვლევის პრაქტიკა“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o სილაბუსები; o სწავლის შედეგების (კომპეტენციათა) რუკა; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი; o თვითშეფასების ანგარიში; o შრომის ბაზრის კვლევა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგების, ინგლისურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირებისა (B2 დონის დასადასტურებლად)დასპეციალობაში ზეპირი გამოცდის საფუძველზე. საუნივერსიტეტო

გამოცდაში სპეციალობისა და ინგლისური ენის ხვედრითი წილია 50-50%. ტესტი ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატი მოაგროვებს მაქსიმალური ქულების მინიმუმ 71%-ს. ინგლისურ ენაშიტესტირებისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს.ზეპირი გამოცდა ტარდება დარგობრივ კომისიასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე. მასზე კონკურსანტის 50-ქულიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმებით მიხედვით: აკადემიური/პროფესიული მიღწევები (მაქსიმუმ 6 ქულა), სფეროს შესახებ დარგობრივი ბაზისური ცოდნა (მაქსიმუმ 15 ქულა), მოტივაცია (მაქსიმუმ 20 ქულა), კომუნიკაციის უნარი (მაქსიმუმ 9 ქულა). დადებით შეფასებად ითვლება 51% და ზევით. მთლიანობაშიპროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (აღნიშნული პროგრამის შემთხვევაში ის ჯერ არ არის განთავსებული, ვინაიდან ის ახალი პროგრამაა და პირველად შემოდის აკრედიტაციაზე). გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა მოქმედი პროგრამისათვის არსებობს შესაბამისი ბუკლეტი, რომლის მსგავსის შექმნაც იგეგმება „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამისთვისაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o პროგრამაზე მიღებისა და შეფასების დოკუმენტი; o თვითშეფასების ანგარიში; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიღების წესი და სწავლის შედეგები.

სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 102 კრედიტი – სპეციალობის სასწავლო კურსები, აქედან 78 კრედიტი – პროგრამის სავალდებულო საგნები და 24 კრედიტი – პროგრამის არჩევითი საგნები. კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის სახით შეადგენს 18 კრედიტს.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა, თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა არის გარკვეული კითხვები, რომლებმაც შესაძლოა პროგრამის განხორციელებებისას მოითხოვოს დამატებითი დაზუსტება ან შესწორების შეტანა პროგრამაში. პირველ რიგში, ეს არის ინგლისურენოვანი საგნების საკითხი. პროგრამის სავალდებულო ბლოკში 13 საგნიდან 7 საგნის წაკითხვა (სულ 42 კრედიტი) დაგეგმილია ინგლისურ ენაზე. მართალია, პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის ინგლისურ ენაში B2 დონის დადასტურება, მაგრამ დღეს ძნელი სათქმელია, რამდენად იმუშავებს აღნიშნული მოდელი სტუდენტების

მოზიდვის თვალსაზრისით. როგორც მსგავსი წინაპირობის მქონე სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან საუბარმა ცხადყო, ინგლისურენოვანი საგნები მათთან მხოლოდ არჩევით სტატუსს ატარებდა და ჩვეულებრივ მათ ძალზე მცირე ნაწილი (1-2 სტუდენტი) ირჩევდა, რაც განპირობებული იყო საგნის მთლიანად ინგლისურ ენაზე გავლის სირთულით. ამავე დროს, პროგრამის განხორციელების ენად, როგორც თავად პროგრამაში, ისე თვითშეფასების ანგარიშში, მითითებულია მხოლოდ ქართული ენა. აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სცადა იმის დაზუსტება, თუ რამდენად დაშვებულია ასეთ შემთხვევაში ინგლისურ ენაზე საგნების (თანაც, ასეთი რაოდენობით) წაკითხვა. სამწუხაროდ, დღეს ამის შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტებში არაფერი არ არის ნათქვამი და მხოლოდ აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია ან ქართულ, ან უცხო ენაზე (ადრე არსებული ფორმულირება „ქართული უცხო ენის კომპონენტებით“ დღეს უკვე ამოღებულია). დაზუსტებული პასუხის მიღება ვერ მოხერხდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდანაც, ვინაიდან გაირკვა, რომ არ არსებობს დადგენილი კვოტა, თუ რა რაოდენობის საგნები შეიძლება იქნას წაკითხული უცხო ენაზე. საბოლოოდ, ცენტრის რჩევით, აღებულ იქნა საგნების საერთო რაოდენობის 50%-იანი ნიშნული. არსებული მდგომარეობით, ინგლისურენოვანი საგნები საერთო რაოდენობის 50%-ზე ნაკლები გამოვიდა, თუმცა სავალდებულო სეგმენტში ამ ნიშნულს ასცდა. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა კომისიამ თავი შეიკავა რეკომენდაციის მიცემისაგან და რჩევით შემოიფარგლა, მით უმეტეს, რომ თავად პროგრამის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს ინგლისურენოვანი საგნების ნაწილის (კერძოდ, 4 საგნის, რომლებსაც კითხულობენ პროფ. სტივენ ჯონსი და პროფ. ალექსანდრე მიქაბერიძე) ქართულად წაკითხვის შესაძლებლობის შესახებ.

სტუდენტებისათვის გარკვეული პრობლემების შექმნა შეუძლია იმ გარემოებასაც, რომ სწავლის IV სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად, პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულია ორი საგნის გავლაც, მით უმეტეს, როდესაც პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული კვლევასა და მის ინტერნაციონალიზაციაზე. თუმცა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრიდან გაირკვა, ეს იძულებითი ნაბიჯია, რადგანაც უცხოელ პროფესორების უმრავლესობას მხოლოდ გაზაფხულის სემესტრში შეუძლიათ საქართველოში ჩამოსვლა ლექციების წასაკითხად, რაც შეუძლებელს ხდის აღნიშნული საგნების გადანაწილებას შემოდგომის სემესტრზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ისტორიის მაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o სილაბუსები; o თვითშეფასების ანგარიში; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; o გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ***სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა კიდევ ერთხელ განიხილოს ინგლისურენოვანი სავალდებულო საგნების რაოდენობის საკითხი.***
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის

შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ერთობლიობით ქმნის თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალას, ისინი დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა, ამავე დროს, გვხვდება ხარვეზებიც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საგნების უმრავლესობაში პრაქტიკულად არ გვხვდება ქართულენოვანი ლიტერატურა. ხშირად ეს იმითაც აიხსნება, რომ კურსების ნაწილი ინგლისურ ენაზე იკითხება, თუმცა ეს ამ შემთხვევაში არ ცვლის მთავარ ვითარებას: საქართველოს ისტორიაში დარგის მთავარი მიღწევები სწორედ ქართულ ენაზე ქვეყნდება. ასე, მაგალითად, საგნებში „ახალი საქართველო (1985-2012)“ და „საბჭოთა საქართველოს ისტორია“ საერთოდ არ არის მითითებული ქართულენოვანი გამოკვლევები, თუნდაც დამატებითი ლიტერატურის სახით. ასევე ითხოვს ქართულენოვანი გამოკვლევებით გამდიდრებას სილაბუსების ნაწილი (მაგალითად, „კავკასია XIX-XXI: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921). ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროგრამაში მითითებული საგნების სათაურები ხშირად არ ემთხვევა სილაბუსებში მითითებულ სათაურებს, თუმცა ასახავს მათ შინაარს. მაგალითად, პროგრამაში მოცემულია „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე 1789-1914 წლების გლობალური ისტორია“ (სილაბუსს აწერია „ევროპა და მსოფლიო ხანგრძლივი მე-19 საუკუნის პერიოდში, 1789-1914“); „რუსეთის ისტორია პეტრე დიდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე“ და თან რევოლუცია ამ შემთხვევაში ბრჭყალებშიც არ არის ჩასმული, რაც ნამდვილად საჭირო იყო (სილაბუსში მითითებულია „იმპერიული რუსეთი“); „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921)“ (სილაბუსში გვხვდება: „ქართული სოციალ-დემოკრატია ოპოზიციასა და ხელისუფლებაში“); „ახალი საქართველო (1985-2012)“ (სილაბუსში მითითებულია: „ერისა

და სახელმწიფოს მშენებლობა ახალ საქართველოში (1985-2012)“. გარდა ამისა, სილაბუსების ნაწილში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა აშკარად ითხოვს გადახედვას, რადგანაც სტუდენტის კვირეული დატვირთვა ამ საგნებში ძალზე დიდია. ასე, მაგალითად, საგანში „1914-2000 წლების გლობალური ისტორია“ მე-5 კვირაში მოთხოვნილია 272 გვერდი ინგლისურენოვანი მასალის დამუშავება (მე-6 და მე-7 კვირაში მოთხოვნილი მასალა ასევე 200 გვერდზე მეტს შეადგენს), ხოლო საგანში „საბჭოთა საქართველოს ისტორია“ მე-11 კვირაში მოთხოვნილია 333-გვერდიანი ინგლისურენოვანი წიგნი მთლიანად. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა საგანს მინიჭებული აქვს ერთნაირი კრედიტი და გააჩნია პრაქტიკულად იდენტური შეფასების სისტემა, დაისმის კითხვა, რამდენად შეესაბამება ერთ საგანში კვირაში საშუალოდდასამუშავებელი 30-50 გვერდი სხვა საგანში საშუალოდ 200-მდე გვერდის კვირეულად დამუშავება სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილისაათების ერთნაირ რაოდენობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o სილაბუსები; o თვითშეფასების ანგარიში; o გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • **გამდიდრებულ იქნას ქართულენოვანი ლიტერატურით შემდეგი საგნები: ახალი საქართველო (1985-2012)“, „საბჭოთა საქართველოს ისტორია“, „კავკასია XIX-XXI: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“ და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921);** • **შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროგრამაში მითითებული საგნების სათაურები – „ხანგრძლივი მე-19 საუკუნე 1789-1914 წლების გლობალური ისტორია“, „რუსეთის ისტორია პეტრე დიდიდან ოქტომბრის რევოლუციამდე“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და საბჭოთამდელი ქართული საზოგადოება (1890-1921)“, „ახალი საქართველო (1985-2012)“ – სილაბუსებში მოცემულ დასახელებებთან („ევროპა და მსოფლიო ხანგრძლივი მე-19 საუკუნის პერიოდში, 1789-1914“, „იმპერიული რუსეთი“, „ქართული სოციალ-დემოკრატია ოპოზიციასა და ხელისუფლებაში“, „ერისა და სახელმწიფოს მშენებლობა ახალ საქართველოში (1985-2012)“);** • **საგნებში „1914-2000 წლების გლობალური ისტორია“ და „საბჭოთა საქართველოს ისტორია“ კვირეულად დასამუშავებელი ლიტერატურა მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სტუდენტების დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობასთან.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკულად ყველა კურსი ითვალისწინებს კვლევით და წერით კომპონენტებს, რომელიც მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული საგნისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას, ისე სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად მომზადებას. პროგრამაში გათვალისწინებული საარქივო პრაქტიკის კურსი, რომელიც, თეორიულ საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს არქივებში მუშაობის პრაქტიკული ჩვევების შეძენა-გაღრმავებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას იქ

დაცულ მასალებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტში იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ეწყობა საჯარო ლექციები და შეხვედრები პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებთან. ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა; o სილაბუსები; o თვითშეფასების ანგარიში; o ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; o გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საგნებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის ძირითადად გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ინტერაქციული ლექციები და სემინარები; ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, ანალიზი, სინთეზი, პროექტები, სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი და ა.შ.აღნიშნული მეთოდები სტუდენტებზე ორიენტირებულია და ისინი სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6 სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. პროგრამაში სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი, ობიექტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით.

სტუდენტთა შეფასების ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში, თითოეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამის სილაბუსებში.

თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის შეფასების დროს გამოიყენება მრავალფეროვანი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, კერძოდ: რეფერატი, კვლევითი პროექტი, პრეზენტაცია, ესე, კვლევითი ნაშრომი და სხვა.

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცესში აქვს შესაძლებლობა თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს, იცოდეს შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და ძირითადი კომპონენტები, რის საშუალებასაც ილიაუნის ელექტრონული ბაზა „არგუსი“ იძლევა.

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.

სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015 წლის 16 ივნისის სხდომით დამტკიცებულია *„ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი“* რომლის მეცხრე მუხლი და ქვეთავები განსაზღვრას სტუდენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ასევე, განსაზღვრავს შუალედური/დასკვნითი შეფასების გასაჩივრების წესებსა და ვადებს. ამ დოკუმენტის გათვალისწინებით, ნებისმიერ სტუდენტს, მათ შორის, თანამედროვე საქართველოს ისტორიის მაგისტრანტს, საშუალება ექნება გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- მაგისტრატურის დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისები. უნივერსიტეტის სტუდენტები უწყვეტ რეჟიმში იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ როგორც მეილების, ასევე, სტუდენტთა ელექტრონული ბაზების მეშვეობით.

სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ ბაზას „არგუსი", სადაც სტუდენტებს აქვთ საკუთარი ინდივიდუალური ბაზა და წვდომა მათ მიერ არჩეული კურსების სილაბუსებზე, სასწავლო მასალებზე, შეფასებაზე და სხვა. სტუდენტები დროულად იღებენ საჭირო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებასთან, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით, სტუდენტები ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლისგან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, ცოცხალ რეჟიმში იღებენ უკუკავშირს პროფესორ-მასწავლებლებისგან.

უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული გაცვლით პროგრამებში და შესაბამისად, დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტებს საშუალება აქთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის კონკურსებში. სტუდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ატარებს თემასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს *სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი*, რომლის საქმიანობაშიც შედის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა. ამისთვის იმართება დასაქმების ფორუმები, სადაც უზრუნველყოფილია დამსაქმებელთა მრავალფეროვანი სპექტრის ჩართულობა. უნივერსიტეტი ეხმარეა სტუდენტებს რეზიუმეების შედგენაშიც. სამსახური უზრუნველყოფს გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას მეილების საშუალებითაც.

სტუდენტებს სრული წვდომა აქვთ უნივერსიტეტში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სასწავლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური სახით, ასევე, ელექტრონული ფორმატით.

უნივერსიტეტი იყენებს პლაგიატის ამომცნობ პროგრამებს და სტუდენტების მიერ შესრულებული თითოეული დავალება გადის კონტროლს პლაგიატზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის, ასევე მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს აწესრიგებს *„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისი 61-ე სხდომის ოქმით)*

თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამა ახალია და მას ჯერ მაგისტრანტობის

კანდიდატები არ ჰყავს, თუმცა უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, სტუდენტი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე ირჩევს ხელმძღვანელს და შემდეგ, კონსულტაციას გადის მასთან თემის ზუსტი სათაურის ან მიმართულების განსაზღვრაზე. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი ნაშრომზე მუშაობის პროცესში ხელმძღვანელებს აბარებენ შუალედურ ანგარიშებს, მუდმივ რეჟიმში იღებენ მათგან რჩევებსა და რეკომენდაციებს. თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის აკადემიური პერსონალი კვლევითი გამოცდილების მქონე პროფესორებისგან შედგება, რომლებიც ფლობენ შესაბამის დარგში მოწინავე კვლევებში მრავალწლიან ღირებულ გამოცდილებას. მათი გამოცდილება გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ ისინი შეძლებენ მაგისტრანტობის კანდიდატებს გაუწიონ ასისტირება კვლევის პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო კომპონენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი; o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაცემები, დატვირთვის სქემები, საგანთა სემესტრული განაწილების გეგმა) შესწავლამ, ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ონლაინ-გასაუბრებამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად. პერსონალის სამეცნიერო ბიოგრაფიები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები ადასტურებს მათ კვალიფიკაციას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამის „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ განსახორციელებლად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამის განსახორციელებლად საერთაშორისო ცნობადობის მქონე სპეციალისტთა – უახლესი ისტორიის, სოვეტოლოგების (რონალდ სუნი, სტივენ ჯონსი, ალექსანდრე მიქაბერიძე) უცხოეთიდან მოწვევა და როგორც უშუალოდ, ასევე დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით მონაწილეობა პროგრამაში. ეს განსაკუთრებით დადებითად აისახება მომავალი მაგისტრანტების პროფესიულ ზრდაზე, გააფართოვებს მათ სამეცნიერო თვალსაწიერს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის თანახელმძღვანელია ცნობილი ქართველოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, საქართველოს უახლესი ისტორიის გამორჩეული სპეციალისტი, პროფესორი სტივენ ჯონსი. პროგრამის განხორციელებისთვის მართებულად არის გამოყენებული ილიაუნის შიდა რესურსი – მაღალი კვალიფიკაციის დარგის ვიწრო სპეციალისტები (ოლივერ რაისნერი, ტიმოტი ბლაუველტი, ადრიან ბრისკუ, დავით დარჩიაშვილი, მალხაზ თორია). თუმცა ვფიქრობთ სამომავლოდ პროგრამის მიზნების უკეთ რეალიზაციისთვის უმჯობესი იქნება ილიაუნის შიდა რესურსის მეტად გამოყენება და საქართველოს უახლესი ისტორიის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა (ლაშა ბაქრაძე, დავით მალაზონია, გოგი გვახარია...) ჩართვა, პროგრამის გამდიდრება სოციალური და კულტურის ისტორიის მიმართულების არჩევითი საგნებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ზოგიერთი ზოგადი კურსის ამოღებით, რომელიც გარკვეულწილად ილიაუნის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურსის იდენტურიცაა.

პროგრამის დადებით მხარედ მიგვაჩნია მასში საქართველოს უახლესი ისტორიის ახალი თაობის მკვლევართა მაქსიმალური ჩართულობა. მათი სამეცნიერო ბიოგრაფია გამდიდრებულია დასავლური განათლებით და აფილაციით (გრიგოლ გეგელია, გიორგი ასტამაძე, ბექა კობახიძე, შოთა კინწურაშვილი), საარქივო თუ წყაროთმცოდნეობითი

კვლევის გამოცდილებით (დიმიტრი სილაქაძე, ირაკლი ხვადაგიანი). მათი კვლევის არეალი მრავალფეროვანია და საქართველოს უახლესი ისტორიის სხვადასხვა თემატურ თუ ქრონოლოგიურ საკითხს მოიცავს, რაც პროგრამაზე მაღალხარისხიანი სწავლების პირობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა ახალია, ექსპერტები გაესაუბრნენ მომიჯნავე - პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს და მიიღეს ინფორმაცია ილიას უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადად სამაგისტრო პროგრამის განხორციელების თავისებურებებზე, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, დაცვის პირობებზე. მიღებულმა ინფორმაციამ ცხადყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობა, შესაბამისად სწავლისთვის სტუდენტთა მაღალი მოტივაცია.

პროგრამის სასწავლო ელემენტის განხორციელებაში ჩართულია 7 აფილირებული (3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი) და 7 მოწვეული (4 დოქტორი, 3 მაგისტრი) აკადემიური პერსონალი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პერსონალი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება მეცნიერების და ხელოვნების სკოლაში, რომელსაც ჰყავს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი დაინტერესებულია და ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებას. მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარებიან სკოლას და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • *სამომავლოდ პროგრამის მიზნების უკეთ რეალიზაციისთვის, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ილიაუნის შიდა რესურსის მეტად გამოყენება და საქართველოს უახლესი ისტორიის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა (ლაშა ბაქრაძე, დავით მალაზონია, გოგი გვახარია და ა.შ.) ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გამდიდრება სსოციალური და კულტურის ისტორიის მიმართულების არჩევითი საგნებით.*
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • **პროგრამის მნიშვნელოვან პლიუსად და სხვა პროგრამებისთვის მისაბაძ გამოცდილებად მიგვაჩნია პროგრამის განსახორციელებლად საერთაშორისო ცნობადობის მქონე სპეციალისტთა – უახლესი ისტორიის, სოვეტოლოგების (რონალდ სუნი, სტივენ ჯონსი, ალექსანდრე მიქაბერიძე) უცხოეთიდან მოწვევა და როგორც უშუალოდ, ასევე დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით მონაწილეობა პროგრამაში. ეს განსაკუთრებით დადებითად აისახება მომავალი მაგისტრანტების პროფესიულ ზრდაზე, გააფართოვებს მათ სამეცნიერო თვალსაწიერს.**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რასაც იყენებს პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის.

უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს და მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას.

პერიოდულად ხდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა, რაც გამოყენებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებას. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ილიას უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება მრავალი აქტივობა: პერსონალმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციაში, გაუზიარა კოლეგებს ახალი სამეცნიერო მიღწევები, გაეცნო საკუთარი კვლევის სფეროს სიახლეებს და ეს სიახლეები და გამოცდილება აქტიურად გამოიყენა სასწავლო კურსების განახლება/დახვეწის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სტუდენტებისთვის სფეროსაქტუალურ და ახალ მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის გადაცემის მიზნით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს პერსონალის გამოკითხვას უნივერსიტეტში არსებული სერვისებით კმაყოფილების შესახებ. კვლევის შედეგები გამოყენებულია სერვისების გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სამუშაოს კმაყოფილების კვლევა; სერვისის შეფასება;
- კურსების შეფასების კითხვარი
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და პუბლიკაციების ნუსხა;
- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასების ანალიზი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭირო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციის, სკოლის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით დისტანციურმა გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუდიტორიები აღჭურვილია ე.წ. პროექტორით. სტუდენტებს აქვთ წვდომა ელექტრონულ რესურსებთან. ბიბლიოთეკას აქვს როგორც წიგნადი, ისე ციფრული ფონდები. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ბეჭდური ან ელვერსიის სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებითა და უნივერსიტეტში არსებული ისეთი ელექტრონული რესურსებით, როგორიცაა: Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; Ulrich's Index; ERIH PLUS; EBSCOHost; Latindex Catalogue. სასწავლოკურსებში გამოყენებულია ასევე ელექტრონული სწავლებით მეთოდი, რაც უზრუნველყოფილია სწავლების ელექტრონული პორტალი "Moodle"-ის საშუალებით.

უნივერსიტეტს აქვს ენის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიითა და პროგრამებით აღჭურვილი ცენტრი, რომელიც გამოიყენება ენობრივი კომპეტენციის სრულყოფისა და დამატებითი აქტივობებისთვის.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

უნივერსიტეტმა მემორანდუმები გააფორმა საქართველოში არსებულ სათანადო საარქივო და საბიბლიოთეკო დაწესებულებასთან. ისინი უზრუნველყოფენ სტუდენტების შეუფერხებელ წვდომას სათანადო ბაზებზე, გაუწევენ შესაბამის კონსულტაციას, გაატარებენ პრაქტიკას და თანაორგანიზებას გაუწევენ სამეცნიერო ღონისძიებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- საერთაშორისო ბაზებით სარგებლობასთან დაკავშირებული მემორანდუმები და სხვა ხელშეკრულებები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი ბიუჯეტი პირობითია და გათვლილია 30 სტუდენტზე. თავად უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ინფორმაციით, პროგრამაზე მხოლოდ 5-10 სტუდენტის მიღებაა განსაზღვრული. ეს საკმარისი იქნება პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის, მით უმეტეს, რომ აკადემიური პერსონალი, სავარაუდოდ, ჩართული იქნება დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაშიც. ამავე დროს, ვინაიდან პროგრამაში ჩართულია 7 მოწვეული პროფესორი, რომელთა დიდი

უმრავლესობა, სავარაუდოდ, სხვა პროგრამებში მონაწილეობას არ მიიღებს, სასურველია ბიუჯეტის შესწორება რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და მისი მორგება კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის ბიუჯეტი; o თვითშეფასების ანგარიში; o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: • **შესწორდეს ბიუჯეტი რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და მოერგოს ის კონკრეტულად თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და უნივერსიტეტის პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფის წევრებთან ონლაინ-გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამასთან დაკავშირებით კითხვარების შევსება. კითხვარის ფორმატი, სტუდენტის მიერ კურსის აუცილებლობის, მნიშვნელობის, სასწავლო მასალისა და მეთოდების შესაბამისობის დასადგენად გამიზნული კითხვების გარდა, მოიცავს სტუდენტის თვითშეფასებას სწავლის შედეგებთან მიმართებაში. როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის გადამოწმებამ დაადასტურა, შეფასებების უმეტესწილად პოზიტიურია და რაიმე ტიპის ხელშესახები ცვლილებები ხარისხის მართვის ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით ნაკლებად ფიქსირდება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის – „თანამედროვე საქართველოს ისტორია“

შემუშავების პროცესში შეიქმნა თვითშეფასების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინსიტრაციული პერსონალი (ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზურველყოფის სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის სპეციალისტი). სამუშაო ჯგუფმა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განახორციელა პროგრამის შესაბამისობის შეფასება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან და შეფასების საფუძველზე, განსაზღვრა თითოეული სტანდარტის მიხედვით პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შემუშავდა თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის სამუშაო ვერსია. დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვის შემდეგ იგი გადაეგზავნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა თანამედროვე საქართველოს ისტორიის პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების დოკუმენტის საბოლოო ვერსია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; o შეხვედრების ოქმი; o თვითშეფასების ანგარიში; o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან,პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პროგრამის სრულყოფის მიზნით ასევე განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება. სააკრედიტაციო ეტაპზე თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასება განახორციელა ლონდონის Queen Mary-ს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა დონალდ რეიფილდმა, რომელიც არ არის ისტორიკოსი. მართალია, 2012 წელს მან გამოსცა წიგნი საქართველოს ისტორიის შესახებ (Edge of Empires: A History of Georgia), მაგრამ მასში დაშვებულია უამრავი ფაქტობრივი შეცდომა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა თანამედროვე საქართველოს ისტორიის პერიოდზე მსჯელობისას. აქედან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს საქართველოს ისტორიის სპეციალისტის მიერ. ამ პროგრამას აქვს იმის რესურსი, რომ მაღალი შეფასება დაიმსახუროს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მხრიდან, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მოღვაწე საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან.

რეკომენდაციები:

- **პროგრამის გარე შეფასება აღნიშნულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს საქართველოს ისტორიის სპეციალისტმა.**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია შიდა ხარისხის პოლიტიკით.

შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ფასდება პროგრამა (სწავლა-სწავლება), კვლევა, სერვისები, რესურსები განსაზღვრული პერიოდულობით.

საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის გადაფასებისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების საჭიროებების კვლევა და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების მექანიზმებს. შიდა შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით და გულისხმობს ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში შემდეგი კვლევების განხორციელებას: სტუდენტების აკადემიური პროგრამით კმაყოფილების შეფასება; კურსების/კომპონენტების შეფასება; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმებისკვლევა; დამსაქმებლების შეფასება, და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხს უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები; o თვითშეფასების ანგარიში; o გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: თანამედროვე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეიმურაზ პაპასქირი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ბონდო კუპატაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეონა კუპრაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა